პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

დღეს! სპარტაკიადის საზეიმო გახსნა

# აფრიალდება ალამი

დღეს, 9 ივნისს, „ბურევესტნიკის“ სტადიონის ფლაგშტოკზე აფრიალდება საქართველოს III სპარტაკიადის დაწყების ალამი!.. აჟღერდება რესპუბლიკის ჰიმნის დიდებული მელოდია!..

დღეს ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი საზეიმო, თვალწარმტაცი ვარჯიშებით გახსნის დიდი სპორტული დღესასწაულის პირველ ფურცელს.

რესპუბლიკის III სპარტაკიადამ მძლავრი, მხნე ნაბიჯებით შემოაბიჯა სტადიონებზე, სპორტულ მოედნებზე, საცურაო აუზებში, მძლეოსნურ სექტორებზე, სპორტის სხვადასხვა სახეობათა ასპარეზებზე. მოდის ძალღონით სავსე, კუნთმაგარი, ბედნიერი ახალგაზრდობა და თან მოაქვს გაბედული შემართება, რეკორდების, ჯერ კიდევ დაუპყრობელი ზღუდეების დაძლევის დაუოკებელი სწრაფვა, წინსვლის, სპორტული პროგრესის, ახალ-ახალი გამარჯვებების მოპოვების შეუპოვარი სურვილი!

დღეს მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის სპორტული ზეიმია. რესპუბლიკის ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა მრავალათასიანი არმია გამოდის ასპარეზზე, რათა პარტიას, ხალხს, მთელს ჩვენს ქვეყანას ჩააბაროს თვალსაჩინო ანგარიში იმისა, თუ რა გაკეთდა ჩვენში გასული სპარტაკიადის შემდეგ, თუ რა ახალი გამარჯვებები, წარმატებანი იქნა მოპოვებული ზრდისა და წინსვლის ახალ ეტაპზე საქართველოს II სპარტაკიადის შემდეგ, თუ რით წარვდგებით ჩვენ ჩვენი დიადი ქვეყნის დღესასწაულზე — მოსკოვში მოძმე რესპუბლიკების ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა დიდ ფორუმზე...

საბჭოთა საქართველო მოწინავე სპორტული რესპუბლიკაა. იგი ჩვენი დიდი სამშობლოს ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრების ავანგარდში მიდის. მის წიაღში აღზრდილა არა ერთი და ორი მსოფლიო ჩემპიონი და რეკორდსმენი. მას არა ერთი და ორი ბრწყინვალე სპორტული გამარჯვება მოუპოვებია საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ, მისი სახელის სადიდებლად.

სწორედ ეს მდიდარი ტრადიციებია დღეს მოქმედებაში საქართველოს III სპარტაკიადის სპორტულ ბაზებზე!

დღეს ყოველ ჩვენგანს — სასპარტაკიადო გამოსვლის სპორტსმენსა თუ მის მაყურებელს — კარგად გვახსოვს ის სიხარული, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა II სპარტაკიადაზე საქართველოს სპორტული დელეგაციის წარმატებამ მოგვიტანა. მეხუთე საპრიზო ადგილმა, ამ სიხარულთან ერთად, ჩვენ შთაგვინერგა დიდი პასუხისმგებლობის გრძნობაც, რათა თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ მოწინავე სპორტული რესპუბლიკის სახელს და პრესტიჟს. ეჭვი არაა, თვითონ დღესასწაულის ამ დღეებში ჩვენს სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებს სრული სიღრმით აქვთ შეგნებული პასუხისმგებლობის ეს გრძნობა. ეჭვი არაა, ისინი მთელ თავიანთ ძალასა და შესაძლებლობებს მოახმარენ იმას, რომ კიდევ უფრო მაღლა ამაღლდეს რესპუბლიკის სპორტსმენთა ახალი მიღწევები, ახალი მაჩვენებლები.

დღეს აფრიალდება საქართველოს სსრ III სპარტაკიადის გახსნის ალამი და ყოველ ჩვენგანს მტკიცედ ახსოვს, რომ რესპუბლიკის ეს სპორტული ზეიმი ძალთა გენერალური დათვალიერებაა მიმდინარე ხუთწლედის უდიდესი სპორტული ღონისძიებისათვის — საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადისათვის.

მშობლიური რესპუბლიკის სპორტული ღირსება, მოწინავე ქართველ სპორტსმენთა მიერ შექმნილი ტრადიციები გვავალებს კვლავ წინ ვიდეთ, საბჭოთა სპორტის ავანგარდში, დიდი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

მაშ ამ მაღალი რწმენით ჩაებით თქვენს დღევანდელ ასპარეზობაში, ძვირფასო სპორტსმენებო! წარმატება და გამარჯვებები თქვენს პატრიოტულ მიზანსწრაფვას!



დღეს! ყველანი «ბურევესტნიკის» სტადიონზე!

## სალამი ჩვენს მეტოქეს!

სულითა და გულით გილოცავთ დიდი საკავშირო სპორტული ფორუმის პრელუდიის — რესპუბლიკური სპარტაკიადის დაწყებას. ქართველი სპორტსმენები ყოველთვის საბჭოთა სპორტის მოწინავე ხაზზე იდგნენ. ამის დადასტურებაა საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებში საქართველოს 85 სპორტსმენის მონაწილეობა.

წლევანდელი სპარტაკიადა მეტად დაძაბული იქნება. ჩვენ არ დავზოგავთ ძალებს, რათა ღირსეული მეტოქეობა გავუწიოთ ჩვენს ქართველ კოლეგებს. ახალი წარმატებების, რეკორდებისა და გამარჯვებების სურვილებით!

**ესტონეთის სსრ სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი.**

## გამარჯვებას გვისურვებენ მეგობრები ერევნიდან, კიშინიოვიდან, ტალინიდან, კაუნასიდან.

## გისურვებთ მაღალ მაჩვენებლებს!

სომხეთის სპორტული საზოგადოებრიობა მიესალმება მოძმე საქართველოს III სპარტაკიადის მონაწილეებს და უსურვებს ახალ წარმატებებს შრომაში, სწავლასა და სპორტში. საქართველოს სპორტსმენებს არაერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაუწერიათ საბჭოთა სპორტის ისტორიაში და გვჯერა, ისინი ახლაც განაგრძობენ გამარჯვებათა გზით სვლას!

მოუთმენლად ველოდებით სპარტაკიადის შედეგებს. დაე, მისი მონაწილეებით კმაყოფილი ყოფილიყვეთ თქვენც და მთელი ჩვენი ქვეყნის სპორტის მოყვარულებიც.

**სომხეთის სსრ სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი.**

## მომავალ შეხვედრამდე!

ძვირფასო მეგობრებო! ლიტველი ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების სახელით მხურვალედ მოგესალმებით თქვენი დიდი სპორტული დღესასწაულის — საქართველოს სსრ III სპარტაკიადის გახსნის გამო.

ეჭვი არაა, რომ თქვენს დღევანდელ სპარტაკიადაზე კვლავ ნაჩვენები იქნება თქვენთვის შესაფერი მაღალი შედეგები.

მომავალ შეხვედრამდე, მეგობრებო, მოსკოვში, საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაზე!

**ლიტვის სსრ სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი.**



## გამარჯვებათა გზით!

მოლდაველი სპორტსმენები ყოველთვის დიდი გულისხმიერებით ეპყრობიან ქართველი მეგობრების მიღწევებსა და წარმატებებს. ბევრ სასარგებლოსა და კარგს ვსწავლობთ დიდი სპორტული ტრადიციების მქონე რესპუბლიკისაგან. ამიტომ არის, რომ ყოველი თქვენი წარმატება დიდად გვახარებს.

მიესალმებით საქართველოს სპარტაკიადის ყოველ მონაწილეს და რესპუბლიკის ყველა ფიზკულტურელს. საბჭოთა სპორტის სადიდებლად და სასახელოდ ყოველთვის გამარჯვებათა გზით ვიაროთ!

**მოლდავეთის სსრ სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი.**

**საქართველოს III სპარტაკიადის ანგარიში იხილეთ მე-2 გვერდზე.**

9 ივნისი
კვირა,
1963 წ.
№ 113 (2216)
გამოდის მე-19 წელი.
ფასი 2 კაპ.

# გამოვლინდა პირველი ჩემპიონი

საქართველოს სპარტაკიადის პროგრამით ცხენოსნობაში პირველ დღეს გაიმართა სამჭიდში სამანეჟო სვლა უფროსი და უმცროსი ასაკის ცხენებისათვის და ცხენის გაწვრთნა — „მცირე ჯილდო“.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ წლიდან წლამდე საქართველოს პირველობაზე ცხენოსნობაში ერთიდაიგივე სახელები მეორდება. გამონაკლისს არც ეს სპარტაკიადა წარმოადგენს. პირველობისათვის ძირითადად თბილისისა და აფხაზეთის სპორტსმენები იბრძვიან და იშვიათად თუ გამოჩნდებიან სხვა რაიონების წარმომადგენლები.

სამჭიდში უფროსი ასაკის ცხენების შეჯიბრებაში მონაწილეობდა 3 თბილისელი და ამდენივე აფხაზეთის სპორტსმენი. აქ პირველობდა აფხაზეთის სპორტსმენი დ. ხოფერია (ცხენი „პოსეიდონი“), მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისელი სპორტის ოსტატი ა. მანჯავიძე (ცხენი „ტარა“), მესამე იყო თბილისელი ვ. პარონიანი (ცხენი „ბენგალი“).

სამჭიდში უმცროსი ასაკის ცხენებისათვის შეჯიბრებაში მონაწილეობდა ზემოდასახელებული სამი სპორტსმენი და ა. მიქაელიანი, ა. ლაკერბაი (ორივე აფხაზეთიდან) და ზუგდიდელი ა. შონია. აქაც პირველობდა დ. ხოფერია (ცხენი „ხაროუ“). მეორე ადგილზე გამოვიდა კვლავ თბილისელი სპორტის ოსტატი ა. მანჯავიძე (ცხენი „გეტერა“), მესამეზე — აფხაზეთის სპორტსმენი ა. მიქაელიანი (ცხენი „ხინუსი“).

ცხენის გაწვრთნაში „მცირე ჯილდოზე“ სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა თბილისელი სპორტის ოსტატი ა. დგებუაძე (ცხენი „ბარგუზინი“). მეორე საპრიზო ადგილზე გამოვიდა ნ. ოვჩინიკოვი (ცხენი „სტრიჟი“), ხოლო მესამეზე — ზუგდიდელი მ. სალია (ცხენი „ალგირი“).

შეჯიბრება გრძელდება.



# აუზის ცისფერ ბილიკებზე

გუშინ ფიზკულტურელის პარკის საცურაო აუზში დაიწყო რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ცურვაში. თბილისის, აჭარის, აფხაზეთისა და სხვათა საუკეთესო სპორტსმენებმა ამ დღეს ძალები სცადეს 100 მეტრზე თავისუფალი, 200 მეტრზე ზურგზე და ბატერფლაის სტილით წინასწარ გაცურვებში 8-8 ფინალისტის გამოსავლინებლად.

100 მ თავისუფალი სტილით ცურვის სტარტზე გამოვიდა 17 სპორტსმენი, რომელთაგან ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა აფხაზეთის გუნდის წევრმა ლ. კონოვალოვამ — 1.11,6 და მნიშვნელოვანი განაცხადი გააკეთა ჩემპიონობაზე. მის გარდა ფინალში გასულთაგან კიდევ ორმა თბილისელმა სპორტსმენმა აჩვენა I თანრიგი — ა. მაქსიმცევამ — 1.13,3 და ნ. ჩუგუევსკაიამ — 1.14,0.

ამავე სტილით ამავე დისტანციაზე ბრძოლაში ჩაება 32 ვაჟი და 24-მა ამავე დღეს შეწყვიტა ბრძოლა. ფინალში გასულთაგან ყველაზე მაღალ მაჩვენებელს მიაღწია ე. ვოიტკევიჩმა (თბილისი) — 1.01,1, მას მცირედ ჩამორჩნენ თანაგუნდელები გ. კორბუკოვი — 1.01,2 და ვ. ჩერნიკოვი — 1.01,6. ალბათ ჩემპიონობის საკითხიც მათ შორის გადაწყდება.

გვიან დამთავრდა გაცურვები ზურგზე და ბატერფლაის სტილით.

# ოთხ სარბიელზე

სპორტის სასახლეში გაშლილია ოთხი სარბიელი. აქ ერთმანეთს ეჯიბრებიან კლასიკური და თავისუფალი სტილით მოჭიდავენი. შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი სახეობა თავის შემადგენლობით მეტად ფართოდაა წარმოდგენილი საქართველოს III სპარტაკიადაზე. აქ თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, გორის, რუსთავისა და ჭიათურის 247 მოჭიდავეა.

აღსანიშნავია, რომ თავისუფალ ჭიდაობაში შეხვედრათა 80 პროცენტი წმინდა გამარჯვებით დამთავრდა. ახალბედები, პირველთანრიგოსნები არ შეუშინდნენ ოსტატებს, მრავალ შეჯიბრებაში გამარჯვებულ სპორტსმენებს და ოთხივე სარბიელზე ცხარე ბრძოლები გაიმართა.

მოგვყავს თავისუფალ ჭიდაობაში პირველი დღის ტექნიკური შედეგები.

**უმჩატესი წონა:** სოხუმელმა ნ. სტურუამ დაამარცხა ფოთელი ა. გამსახურდია, თბილისელმა ნ. გაჩეჩილაძემ — ბათუმელი ზ. არჯენაძე. ცხინვალელმა რ. ქუმსიაშვილმა — რუსთაველი ო. როსტიაშვილი.

**მჩატე წონა:** რუსთაველმა ვ. ლაფაჩიშვილმა დაამარცხა გორელი ს. აწკარუნაშვილი, ცხინვალელმა რ. კოჩიევმა — ფოთელი რ. ჭანტურია.

**ქვემსუბუქი წონა:** ცხინვალელმა ი. ბოლოთაევმა მოუგო თბილისელ ს. ქარსაულიძეს, ქუთაისელმა დათეშიძემ — ფოთელ მ. გასვიანს და ა. შ.

შეჯიბრება გრძელდება.




# ვ. სალუქვაძე — 584 ქულა

რესპუბლიკური სპარტაკიადის ტალღამ ავჭალის სასროლეთამდე მიაღწია. გასული წლის ჩემპიონებმა აღმართეს შეჯიბრების ალამი და აი მონაწილენი უკვე ცეცხლის ხაზზე არიან.

შეჯიბრების პირველ დღეს სპორტსმენებმა ძალები მოსინჯეს 25 მეტრზე რევოლვერიდან მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლაში. გუნდურ ჩათვლაში დასაწყისშივე აშკარა გახდა თბილისელთა უპირატესობა. ისინი 2.300 ქულით სათავეში ჩაუდგნენ შეჯიბრებას. მეორე ადგილზე 1.705 ქულით არის აჭარის კოლექტივი, მესამეზე — 1.134 ქულით ქუთაისის გუნდი და მეოთხე ადგილზე — 1.123 ქულით აფხაზეთის მსროლელები. დანარჩენი გუნდებიდან ვერცერთმა მსროლელმა ვერ შესძლო პირველი თანრიგის შესრულება და მათ ამ ვარჯიშში ნოლი ქულა მიიღეს. პირად ჩათვლაში უძლიერესის სახელი დარჩა ვ. სალუქვაძეს (თბილისი) — 584 ქულა. 581 ქულით მეორე ადგილზე გამოვიდა მისი თანაგუნდელი ს. სტარკოვი, მესამეზეა შ. აბულაძე (ქუთაისი) — 577 ქულა. რესპუბლიკის ნაკრები გუნდის მუდმივი წევრები — დ. პილიევი და ქ. ფოტიევი შესაბამისად 568 და 567 ქულის მოგროვებით დასჯერდნენ მე-8 და მე-9 ადგილებს.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან ანალოგიური ვარჯიშის შესრულებისას ცეცხლის ხაზზე მხოლოდ ოთხი ქალი გამოვიდა, რომელთაგანაც ერთმა ნახევარი ვარჯიშის შესრულების შემდეგ ტექნიკური მოუმზადებლობის გამო დასტოვა ცეცხლის ხაზი. საბოლოოდ 564 ქულით გამარჯვება დარჩა თბილისელ ქ. ფატეევას, მეორე ადგილზეა მისი თანაგუნდელი ვ. ტიმოფეევა — 557 ქულა და მესამეზე — ლ. გლაზუნოვა (ბათუმი) — 545 ქულა, რაც 5 ქულით ნაკლებია პირველი თანრიგის ნორმატივზე.

შეჯიბრების პირველი დღის შედეგებში სახარბიელო არაფერია. ვაჟებში ნაჩვენები ოთხი საუკეთესო შედეგით საკავშირო სპარტაკიადაზე პირველ ექვსეულში ვერ შევალთ.

**გაზეთ „ლელოს“ ბრიგადა.**

# მათთვის უჩვეულო ამპლუაში

წყალბურთელთა გუნდების პირველი დღის შეხვედრებში მოულოდნელობას არ ჰქონია ადგილი. ძლიერმა კოლექტივებმა დაამარცხეს სუსტი კოლექტივები და პირველი გამარჯვებებით ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში. ქუთაისელთა ახალგაზრდული გუნდის დებიუტი თბილისელ მაყურებელთა წინაშე წარუმატებელი გამოდგა. პირველსავე მატჩში ქუთაისელები შეხვდნენ ახლახან დამთავრებულ წყალბურთელთა უძლიერესი გუნდების საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებულ თბილისის „დინამოს“, რომელიც დედაქალაქის სპორტულ სახელს იცავს სპარტაკიადაზე.

თბილისელები დარწმუნებული იყვნენ, რომ მათ ჯეროვან წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ მეტოქეები და ამიტომ „მოედანზე“ შეცვლილი შემადგენლობით გამოვიდნენ — კარს იცავდა სხვა გუნდების მეკარეთა „რისხვა“ ი. ჩხიკვაძე. ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის მეკარე ლ. გოგოლაძეც უჩვეულო ამპლუაში მოევლინა გულშემატკივრებს — იგი თბილისელთა შეტევების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო.

შეხვედრა წარიმართა თბილისელთა სრული უპირატესობით, რაზეც მეტყველებს მატჩის ანგარიში — 6:0.

ასევე დიდი ანგარიში იყო ფიქსირებული აფხაზეთისა და ფოთის გუნდების შეხვედრაში. აფხაზეთის წარმომადგენლებმა ძლიერად ჩაატარეს თამაში და მოიგეს იგი დიდი განსხვავებით — 11:4.

## მოსწავლეთა XV სპარტაკიადა

★

### რეკორდი გაუმჯობესდა

ახალ წარმატებას მიაღწია აფხაზეთის გუნდის წევრმა ვ. სანეევმა (მწვრთნელი ა. კარსელიანი), რომელმაც სამხტომში არა მარტო პირველი ადგილი მოიპოვა, არამედ გააუმჯობესა ოთხი წლის წინათ დამყარებული ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდიც. მისი მაჩვენებელი — 14.88 მ 24 სმ-ით აღემატება ლ. დარახველიძის ძველ რეკორდს.

მეორე თანრიგის შედეგს საგრძნობლად გაცილდნენ ჭაბუკები შუბის ტყორცნასა და 200 მ რბენაში. შუბის ტყორცნაში უძლიერესმა გ. ძაველურმა (დუშეთი) 60.81 მ-ს ჩვენებით საგრძნობლად გაასწრო მეორე პრიზიორს ვ. ჩიტაიშვილს (თბილისი), რომლის შედეგია 56.32 მ. რაც შეეხება 200 მ რბენას, აქ აშკარა იყო თბილისელ გ. დუმბაძის უპირატესობა — 23,1.

უროს ტყორცნაში მხოლოდ გამარჯვებულმა აჩვენა მეორე თანრიგის შედეგი. 800 მ რბენაში კი ამ დონემდე არავინ ასულა, მაგრამ ყველა პრიზიორმა მაინც შეძლო გადაეჭარბებინა საკავშირო სპარტაკიადაზე დაწესებული ჩასათვლელი ნორმატივისათვის.

აღსანიშნავია მრავალჭიდოსანთა მაჩვენებლებიც. გოგონათა ხუთჭიდში გამარჯვებულ გეგეჭკორელ ა. გაბუნიას (3693 ქულა) გარდა კიდევ 5 სპორტსმენმა აჩვენა II თანრიგის შედეგი. ჭაბუკთა რვაჭიდში გაიმარჯვა ამბროლაურელმა ლ. გუგეშაშვილმა — 4402 ქულა.

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ამ სპარტაკიადაზე თბილისელ სპორტსმენებს თავიანთი ძალა აჩვენეს პერიფერიების წარმომადგენლებმა, მათ პროგრამის 27 სახეობიდან 16 პირველი ადგილი დაისაკუთრეს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს: I ჯგუფში — თბილისის, აფხაზეთის, აჭარის გუნდებმა, II ჯგუფში — ამბროლაურის, თელავის, დუშეთის კოლექტივებმა.

### მ. ღვინერიას ორი პირველი ადგილი

ავჭალის სასროლეთზე დამთავრდა მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ტყვიით სროლაში. წინა წლებისაგან განსხვავებით გუნდის შემადგენლობაში ვაჟებთან ერთად შედიოდა სამი გოგონა.

ასპარეზობის გმირი გახდა 16 წლის ქუთაისელი გოგონა მანანა ღვინერია. მან გამარჯვება მოიპოვა ნებისმიერი პისტოლეტიდან 50 მეტრზე და მცირეკალიბრიანი სპორტული პისტოლეტიდან 25 მეტრზე მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლაში. აღსანიშნავია, რომ მისი შედეგი ორივე ვარჯიშში მოზრდილთა I თანრიგს აღემატება. სხვა მონაწილეთა შორის ყურადღების ღირსია მ. ქამურაშვილის შედეგი, რომელმაც მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან 25 მეტრზე მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლაში აჩვენა 566 ქულა და დაამყარა მოსწავლეთა ახალი რესპუბლიკური რეკორდი.

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება მოიპოვეს ქუთაისელმა მოსწავლეებმა, მეორე ადგილზე გამოვიდნენ აფხაზეთის მსროლელები, ხოლო მესამეზე — თბილისელები.





სურათებზე: (ზევით) საბჭოთა კავშირის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი ვ. ბალავაძე, ზ. ბერიაშვილი, გ. სალარაძე და ამ უკანასკნელის მწვრთნელი შ. ნოზაძე. (ქვევით) მსოფლიო ჩემპიონი გ. სალარაძე (მარჯვნივ) ესაუბრება თავის ამხანაგებს მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ.

ფოტო [illegible]

როგორც ცნობილია, ამ დღეებში დამთავრდა მსოფლიო პირველობის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც დიდ წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა სპორტსმენებმა. 4 პირველი ადგილი და სამი მეორე — ასეთია ჩვენი მოჭიდავეების სპორტული ნადავლი სოფიაში.

ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ტურნირში ქვესაშუალო წონის მოჭიდავემ, სპორტის ოსტატმა გ. სალარაძემ. მან უკან ჩამოიტოვა ხალიჩის ცნობილი ოსტატები თურქეთიდან, ირანიდან, ბულგარეთიდან, იაპონიიდან და დამსახურებულად მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

გასულ პარასკევს ჩემპიონატის მონაწილენი დაბრუნდნენ თბილისში. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა გამარჯვება მიულოცა სახელოვან ფალავანს. თავის მხრივ გ. სალარაძემ მადლობა გადაუხადა რესპუბლიკის სპორტულ საზოგადოებრიობას, რომელმაც გულწრფელად გაიზიარა მისი წარმატება.

— მე მინდა საქართველოს სპორტსმენებს მივულოცო დიდი ზეიმი, — განაცხადა მსოფლიო ჩემპიონმა. —რესპუბლიკის სპარტაკიადის დაწყება და ვუსურვო მათ მაღალი სპორტული მაჩვენებლები.

# 25:14

იუგოსლავიის ქალაქ რიეკაში გრძელდება ტრადიციული ამხანაგური მატჩი საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა გუნდებს შორის.

IV ტურში შესვენებამდე დამთავრდა მხოლოდ 5 პარტია: კორჩნოიმ მოუგო პარმას, კუშნირმა — ლაზარევიჩს, ნემეტმა (იუგოსლავია) — ცეშკოვსკის, ხოლო ნედელკოვიჩ-ზვორიკინასა და მინიჩ-შტეინის პარტიები დამთავრდა ყაიმით.

გადადებული პარტიების დამთავრებისას ვასიუკოვმა დაამარცხა უდოვჩიჩი, სუეტინმა — მატანოვიჩი, ვიტოლინშმა — ბოიკოვიჩი, ხოლო ივკოვმა (იუგოსლავია) — მიკენასი.

ოთხი ტურის შემდეგ მატჩის ანგარიშია 25:14 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ.

## საიუბილეო დღესასწაულზე

მოსკოვში გაიმართა რუსეთში ველოსპორტის განვითარების 80 და მოსკოვის ტრეკის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი შეჯიბრება. დღესასწაული გაიხსნა ძველი ველოსიპედების გამოსვლით, ტრეკზე გამოჩნდა უძველესი მანქანა, რომელსაც მართავდა რუსეთის 1912 და 1914 წლების ჩემპიონი კ. სუხანოვი, რის შემდეგ დამსწრეთ თავიანთი ოსტატობა აჩვენეს ვეტერანებმა მ. ბოიტლერმა, გ. სტანიშჩევსკიმ, ე. მოისეევმა, ი. პოლიტოვმა და სხვა. შემდეგ ტრეკი დაეთმო მოსკოვის, ლენინგრადის, ტულის, რიგის, თბილისის, ხარკოვის საუკეთესო სპორტსმენებს.

განსაკუთრებით წარმატებით გამოვიდა თბილისელი ო. ფხაკაძე, რომელმაც ვაჟთა შორის სპრინტერულ რბოლაში მოსკოველ ბ. ვასილიევსა და რიგელ ფ. კუჩინსკისთან ბრძოლაში შეძლო გამარჯვების მოპოვება.

# ფეხბურთის მოედნებზე

## კარში დარტყმის გარეშე

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 8 ივნისი.

„დინამო“ (თბილისი)-ცსკა — 0:0.

ცსკა: ბაუფა, პონომარიოვი, შესტერნევი, ბაგრიჩი, ლინიაევი, მანოშინი (ფომიჩევი), გრეკოვი, დოროდნიხი, მამიკინი, დენისოვი, პოლიკარპოვი.

„დინამო“: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მეტრეველი, ბარქაია, კალოევი, გ. სიჭინავა (დათუნაშვილი), მესხი.

მსაჯი ვ. ხოდინი (მინსკი).

★

მოსკოველებმა საუკეთესოდ ჩაატარეს შეხვედრა. შეიძლება ზოგიერთს გადაჭარბებული დაცვითი ტენდენციების გამოხატულებად მიაჩნია 3 სტოპერი დაცვაში (დოროდნიხი, ლინიაევი, შესტერნევი), მაგრამ ჯერ ერთი, ეს ნაკარნახევი იყო თვით თამაშის მსვლელობით და აუცილებელი დაზღვევის უზრუნველსაყოფად ფლანგებზე, მეორეც — დოროდნიხი სტოპერის როლს ასრულებდა მხოლოდ მოწინააღმდეგის ძლიერი შეტევის დროს, სხვა შემთხვევებში კი იგი თამამად გამოდიოდა წინა ხაზზე და მანოშინთან ერთად მეტად აქტიურად მოქმედებდა შუა მინდორზე.

არმიელთა დაცვას ძალზე გაუადვილა საქმე პონომარიოვმა (№ 2). იგი მთელი თავისი შესაძლებლობებით იბრძოდა მესხის წინააღმდეგ და უნდა ითქვას, წარმატებითაც გაართვა თავი ამ მძიმე მისიას. მესხისა და პონომარიოვის შეტაკებებს საკმაო დრო მიჰქონდა და მოსკოველთა სხვა მოთამაშეები, კერძოდ, მეკარე ბაუფა, ასწრებდნენ სათანადო კონტროლის ქვეშ აეყვანათ „დინამოს“ ფორვარდები, რომლებიც მაღალ გადაცემებს ელოდნენ მესხისაგან. და კიდევ ერთი ფაქტორი, რომელმაც საშუალება მისცა ცსკა-ს დაცვას პროდუქტიულად ემოქმედა საჯარიმო მოედანზე: თბილისელებმა არასაკმარისად გამოიყენეს მეტრეველი, ხოლო თუ მას ეპიზოდურად მაინც მოსდიოდა ხოლმე გადაცემა, მისი პირადი დარაჯი ბაგრიჩი თამაშობდა ისე, რომ მსაჯს თავისუფლად შეეძლო გაეძევებინა იგი მინდვრიდან. ბაგრიჩი მოურიდებლად, თავხედურად ხმარობდა ყველა აკრძალულ ხერხს, რომ არ მიეცა მეტრეველისათვის თამაშის საშუალება.

ამრიგად, ჩვენი გუნდის იერიშის მთავარი ძალა — ფლანგები ასე თუ ისე პარალიზებული აღმოჩნდა, ამიტომ შეტევის მთელი აქცენტი უნდა გადასულიყო ცენტრზე, სადაც ბარქაიასთან ერთად მოწინააღმდეგის შეთანხმებული დაცვის დეზორგანიზაცია ევალებოდათ გ. სიჭინავასა და იამანიძეს. მაგრამ ისინი არასწორად თამაშობდნენ შუა მინდორზე. ეს პირველ ყოვლისა ეხება გ. სიჭინავას. რა თქმა უნდა, ნახევარმცველისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს დრიბლინგი და ბურთის ტარება იმ მიზნით, რომ ამ მომენტში განთავისუფლდეს წინა ხაზის მოთამაშე გადაცემის მისაღებად. მაგრამ ყველაფერს აქვს ზომა. ბურთის გაუთავებელი გაჩერება და ტარება ცენტრალურ მინდორზე, იქ, სადაც რთული პრობლემები ძირითადად წყდება ზუსტი გადაცემებით, ზიანს აყენებს გუნდს. ეს დაივიწყა გ. სიჭინავამ, რომელსაც ზოგჯერ ორჯერ-სამჯერ უხდებოდა ერთიდაიგივე მოწინააღმდეგის მოტყუება, მასთან დაუსრულებელი შეჯახებები, ამასობაში კი ცსკა-ს საჯარიმო მოედანზე ადგილიც აღარ რჩებოდა ბურთის გადასაცემად. მთელი იმედი ამ დროს დამყარებული იყო კალოევზე, იგი კი გუშინ აშკარად სუსტად გამოიყურებოდა როგორც დაბალი ბურთების მიღებისას, ისე საჰაერო ბრძოლაშიც.

ამ ფონზე ძალზე მომგებიანად ჩანდა არმიელთა სწრაფი კონტრიერიშები, რომლებსაც მხოლოდ ჩოხელისა და ხურცილავას ტანდემმა გაუძლო, ხოლო 50-ე წუთზე კოტრიკაძემ აშკარად იხსნა თავისი კარი გოლისაგან, როცა მის პირისპირ სულ ახლოს აღმოჩნდა პოლიკარპოვი.

კიდევ ერთი საყვედური ჩვენს ფორვარდებს. ისინი თითქმის არც ცდილობდნენ მოეძებნათ გზა მოწინააღმდეგის კარში დასარტყმელად. თუ ცსკა-ს მასირებულ დაცვაში ძნელი იყო ახლო დისტანციაზე გასვლა, შეტევის ლოგიკა მოითხოვდა დარტყმებს შორი მანძილიდან. საამისო ცდებს კი დინამოელთა შორის ადგილი არა ჰქონია. ერთადერთი ხეირიანი დარტყმა შეასრულა მესხმა პირველ ტაიმში და ერთხელაც შესვენების შემდეგ ბარქაიამ ააცილა ბურთი კარს. დანარჩენ შემთხვევებში დინამოელები ძირითადად უშედეგო იერიშებით იყვნენ გართული.

ა. ზაზროშვილი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი,
რ. ქორიძე

## უშედეგო 90 წუთი

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 8 ივნისი.

„ტორპედო“ (ქუთაისი)-„დინამო“ (ლენინგრადი) — 0:0.

„დინამო“: ბელკინი, ბასკაკოვი, ტიხომიროვი, ლისტრატოვი, ვისოცკი, ხომუტოვი, აქსიონოვი, მოროზოვი, კუზიაევი, პეტროვი, დონცოვი.

„ტორპედო“: ურუშაძე, ლოსაბერიძე, თორაძე, ცხოვრებოვი, კუტივაძე, ნიშნიანიძე, ჩხარტიშვილი (ლეჟავა), ხუნდაძე, სირაძე, მიროშნიკოვი, ბულია.

მსაჯი მ. პინსკი (ხარკოვი).

★

გუშინდელი მატჩისათვის ლენინგრადის „დინამოს“ თითქმის გამოუვალი მდგომარეობა ჰქონდა. გუნდი ბოლო ადგილზე იმყოფებოდა ქულათა ძალზე მოკრძალებული მარაგით ამიტომ, მან ბუნებრივია, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ თუნდაც ერთი ქულა შეემატებინა თავისი უიმედო ბალანსისათვის. და, უნდა ითქვას, რომ ლენინგრადელებმა შეძლეს ამ ქულის აღება.

ქუთაისელებმა მოწინააღმდეგეს თავიდანვე მაღალი ტემპი შესთავაზეს და პირველივე წუთებიდან შეტევაზე გადავიდნენ, მაგრამ დინამოელები, ეტყობა, ელოდნენ ამას და სწრაფ ტემპს მომზადებულები შეხვდნენ.

„ტორპედო“ თავის შეტევას, როგორც წესი, ფლანგებიდან იწყებდა. ჩხარტიშვილი და ბულია ხშირად გადიოდნენ თავიანთ ზონებში და აწოდებდნენ ცენტრში. აქ კი დაცვის ძირითად მოთამაშეთა დასახმარებლად სისტემატურად ჩამოდიოდნენ ნახევარმცველები და სირაძეს საგრძნობლად უჭირდა ბრძოლა გაძლიერებულ დაცვასთან.

ქუთაისელთა კიდევ უფრო აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა მეორე ტაიმი. ლენინგრადელებს ერთადერთი საშუალება ჰქონდათ მიეღწიათ წარმატებისათვის: ურუშაძისა და ნიშნიანიძის მიერ არაზუსტად გათამაშებულ ბურთს მიუსწრო პეტროვმა და ძლიერად დაარტყა კარში. ბურთი მოხვდა ზედა ძელს, დაეცა ძირს და კვლავ მოხვდა ძელს. ამ უაღრესად სახიფათო მომენტის ნეიტრალიზება ურუშაძემ დროზე მოასწრო და კარი გადაარჩინა.

მატჩის დასასრული კვლავ ტორპედოელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ სტუმრებმა შეძლეს ყველა უსიამოვნების თავიდან აცილება და 90-წუთიანი ბრძოლა უშედეგოდ დამთავრდა — 0:0.

ლ. ფაჩუაშვილი

• • •

ქუთაისის „ტორპედოსა“ და ლენინგრადის „დინამოს“ დუბლშემადგენლობათა შეხვედრა დამთავრდა ლენინგრადელთა გამარჯვებით—3:0.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 9 ივნისისათვის

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ მოსკოვი | 12 | 7 | 5 | 0 | 14—2 | 19 |
| „დინამო“ თბილისი | 13 | 7 | 4 | 2 | 22—9 | 18 |
| „ნეფტიანიკი“ ბაქო | 13 | 8 | 2 | 3 | 18—10 | 18 |
| ცსკა | 13 | 4 | 8 | 1 | 9—4 | 16 |
| „ტორპედო“ ქუთაისი | 13 | 5 | 6 | 2 | 10—7 | 16 |
| სკა როსტოვი | 12 | 6 | 3 | 3 | 17—9 | 15 |
| „სპარტაკი“ მოსკოვი | 13 | 6 | 2 | 5 | 21—16 | 14 |
| „დინამო“ მინსკი | 12 | 4 | 6 | 2 | 14—13 | 14 |
| „ზენიტი“ ლენინგრადი | 12 | 5 | 4 | 3 | 17—16 | 14 |
| „ლოკომოტივი“ მოსკოვი | 12 | 3 | 7 | 2 | 10—7 | 13 |
| „კაირატი“ ალმა-ატა | 12 | 6 | 1 | 5 | 12—13 | 13 |
| „დინამო“ კიევი | 13 | 4 | 4 | 5 | 16—16 | 12 |
| „ტორპედო“ მოსკოვი | 13 | 4 | 4 | 5 | 13—17 | 12 |
| „კრ. სოვეტოვი“ კუიბიშევი | 13 | 4 | 3 | 6 | 18—17 | 11 |
| „შახტიორი“ დონეცკი | 13 | 3 | 5 | 5 | 6—10 | 11 |
| „ავანგარდი“ ხარკოვი | 13 | 4 | 3 | 6 | 10—15 | 11 |
| „არარატი“ ერევანი | 13 | 3 | 3 | 7 | 12—18 | 9 |
| „მოლდოვა“ კიშინიოვი | 13 | 1 | 7 | 5 | 10—18 | 9 |
| „დინამო“ ლენინგრადი | 13 | 0 | 5 | 8 | 5—21 | 5 |
| „პახტაკორი“ ტაშკენტი | 13 | 1 | 2 | 10 | 11—27 | 4 |

* * *

„სპარტაკი“ (მოსკოვი)-„ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — 1:3
„ავანგარდი“ (ხარკოვი)-„შახტიორი“ (დონეცკი) — 0:0
„ზენიტი“ (ლენინგრადი)-„დინამო“ (მინსკი) — 2:0
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)-„დინამო“ (კიევი) — 3:1
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)-„ტორპედო“ (მოსკოვი) — 0:0
სკა (როსტოვი)-„არარატი“ (ერევანი) — 0:1
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)-„მოლდოვა“ (კიშინიოვი) — 1:2.

# დღეს „ბურევესტნიკის" სტადიონზე

დღეს, „ბურევესტნიკის" სტადიონზე შედგება საქართველოს III სპარტაკიადის საზეიმო გახსნა (დასაწყისი 17 ს.). პროგრამაშია:

მონაწილეთა აღლუმი.

თბილისის მოსწავლეთა მასობრივი ტანვარჯიშული გამოსვლა (სცენარის ავტორი და მხატვრული ხელმძღვანელი შ. კაკაურიძე).

თბილისელ არმიელ სპორტსმენთა მასობრივი სპორტული ვარჯიშები (სცენარის ავტორები და მხატვრული ხელმძღვანელები ა. ჭორჭაძე და გ. ჟორჟოლიანი).

პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სასწავლებლების მოსწავლეთა მასობრივი გამოსვლა (სცენარის ავტორები და მხატვრული ხელმძღვანელები ვ. სამსონაძე და გ. ყარშელაშვილი).

თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა მასობრივი ვარჯიში (სცენარის ავტორი და მხატვრული ხელმძღვანელი გ. ლეჟავა).

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტთა მასობრივი ვარჯიში (სცენარის ავტორი და მხატვრული ხელმძღვანელი თ. სანებლიძე).

დოსააფის ავტო-მოტოკოლონის საზეიმო მარში (ხელმძღვანელი თ. ჩხაიძე).

ფეხბურთის მატჩი — „დინამო" (თბილისი)-ც ს კ ა (დუბლშემადგენლობანი).



## მშვიდობის მცირე ველორბოლა

მშვიდობის ველორბოლა ყოველთვის იყო და არის საერთაშორისო სპორტული პრესის ყურადღების ცენტრში. მაგრამ ბევრმა არ იცის მშვიდობის მცირე ველორბოლის შესახებ, რომელიც როგორც წინათ, ისე მიმდინარე წელსაც ფინიშთან მოვიდა თავის „უფროს ძმებთან" ერთად. მშვიდობის ველორბოლის მონაწილეებმა შეჯიბრების მიმდინარეობის დროს მიიღეს მეტად საინტერესო დეპეშა, რომელსაც ხელს აწერდა გდრ-ს მკვიდრი ოტო ნიტცე: „51332 პატარა ველომრბოლელი მაგდებურგიდან მიესალმება თავიანთ უფროს კოლეგებს". ამ დეპეშის შინაარსი გასაგები გახდება თუ გადავხედავთ ისტორიას. ოთხი წლის წინათ 64 წლის ველორბოლის მოყვარულს ოტო ნიტცეს დაებადა აზრი მშვიდობის ველორბოლის დღეებში მოეწყო ნორჩი სპორტსმენების— მომავალი ჩემპიონების შეჯიბრება. ნიტცემ თავისი აზრი გაუზიარა გდრ-ს სახელგანთქმულ ველომრბოლელებს შურს, ადლერს და ეკშტეინს, რომლებმაც მოუწონეს მას ეს იდეა. ასე დაიბადა და მთელ სახელმწიფოში გავრცელდა მშვიდობის მცირე ველორბოლა. ამ შეჯიბრებებში გამარჯვებული, ისე როგორც უფროსები, იღებენ ლიდერის ყვითელ მაისურებს და აგრეთვე გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდის" და გდრ-ს სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების ჯილდოებს. პირველობაზე მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 14-18 წლის გოგონებსა და ჭაბუკებს. მათ უნდა დაამტკიცონ, რომ მონაწილეობას არ იღებდნენ კვალიფიცირებულ სპორტსმენთა შეჯიბრებებში. 1962 წელს პირველი ადგილი მოიპოვა (მონაწილეთა რიცხვით) მაგდებურგის ოლქმა, სადაც რეგისტრირებული იქნა 17 ათასი ახალგაზრდა სპორტსმენი. მიმდინარე წელს ამ ქალაქმა გადააჭარბა საკუთარ რეკორდს და სწორედ ეს რიცხვია აღნიშნული ოტო ნიტცეს მიერ გაგზავნილ დეპეშაში.

## „ოქროს გოგონას" ოცნება

როცა 18 წლის ავსტრალიელმა მძლეოსანმა გოგონამ ბეტი კატბერტმა მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე მოიპოვა სამი ოქროს მედალი (100 მ — 11,5, 200 მ — 23,4 და ესტაფეტაში 4×100 მ), გაზეთებმა მას უწოდეს „ოქროს გოგონა". სპორტული დიდება მუდმივი არ არის და ეს უსიამოვნება ბეტიმაც გამოსცადა. 4 წლის შემდეგ, რომის ოლიმპიადის დროს, ავსტრალიელმა მძლეოსანმა ვერ შესძლო ზანგ ვილმა რუდოლფთან ორთაბრძოლა. ამის შემდეგ სპორტული ჟურნალისტები აღარ იხსენებდნენ „ოქროს გოგონას", მათ ახლა ახალი საზრუნავი გაუხდათ — „შავი ქურციკი".

მაგრამ ამ დღეებში ბეტი კატბერტის სახელი კვლავ გამოჩნდა პრესაში. მელბურნში ამას წინათ 440 იარდზე რბენაში კატბერტმა აჩვენა 53,5 წამი (400 მ. — 53,1). ეს ახალი მსოფლიო რეკორდია.

იგრძნო რა, რომ მოკლე დისტანციებზე მას ძალზე ბევრი მეტოქე ჰყავდა, ბეტიმ გადაწყვიტა ევარჯიშნა საშუალო მანძილებზე რბენაში. მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე გამოვიდეს 800 მეტრზე რბენაში და ფიქრობს ოქროს მედლის მოპოვებას. კატბერტის მწვრთნელს — ჯეინ მატონს სჯერა თავისი აღზრდილის. „დაძაბული წვრთნა, დიდი ენთუზიაზმი, შესანიშნავი სპორტული სიმტკიცე — აი ის თვისებები, რომელიც საჭიროა ოქროს მედლის მოპოვებისათვის. ეს ყველაფერი საკმარისად აქვს ბეტი კატბერტს".— განაცხადა „ოქროს გოგონას" მწვრთნელმა ჟურნალისტებთან გამართული საუბრის დროს.

## ფეხბურთის ახალი ამბები

### ახალი სისტემით

როგორც უკვე ვიუწყებოდით, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ხანგრძლივი დავის შემდეგ ბოლო მოეღო საფეხბურთო ჩემპიონატის ზონებში გათამაშების სისტემას. 1963-64 წლის ჩემპიონატი ჩატარდება წრიული სისტემით, 16 უძლიერესი გუნდის მონაწილეობით.

აი ის 16 გუნდი, რომლებიც საბოლოოდ შეარჩია გფრ-ს ფეხბურთის ფედერაციამ — „ფკ ნიურნბერგი", „აინტრაპტი" (ფრანკფურტი), „მიუნჰენ 1860", „შტუტგარტი", „კარლსრუე", „ფკ კელნი", „ბორუსია" (დორტმუნდი), „შალკე 04" (გელზენკირხენი), „მაიდერიჰერ შპორტ-ფერაინი", „პროისერი" (მიუნსტერი), „ჰამბურგერ შპორტ-ფერაინი", „ვერდერი" (ბრემენი), „აინტრაპტი" (ბრაუნშვაიგი), „ფკ საარბრიუკენი", „ფკ კაიზერსლაუტერნი" და „ჰერტა".

ეს გუნდები გათამაშებას დაიწყებენ შემოდგომიდან. ახლა კი დაიწყო 1962-63 წლების ჩემპიონატის დასკვნითი თამაშები, სადაც მონაწილეობენ „ფკ კელნი", „ფკ კაიზერსლაუტერნი", „ფკ ნიურნბერგი", „ჰერტა", „მიუნჰენ 1860", „ბორუსია" (დორტმუნდი), „ჰამბურგერ შპორტ-ფერაინი", „ფკ პირმაზენსი" და „ბორუსია" (ნოინკირჰენი).

### „მილანი" — თასის მესამე მფლობელი

ამრიგად, ფეხბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასმა დატოვა პირინეის ნახევარკუნძული, სადაც იგი 7 წლის განმავლობაში ბინადრობდა. მისი ახალი მფლობელი იტალიის „მილანი", რომლის თვითეულმა ფეხბურთელმა კლუბის მეპატრონისაგან მიიღო საკმაოდ მოზრდილი თანხა — 1 მილიონი ლირა.

ჩემპიონთა თასის ახალ მფლობელს წვრთნიან ვიანი და როკო. მისი შემადგენლობა ასეთია: გეზი, დავიდი, მალდინი, ტრები, ბენიტეზი, ტრაპატონი, პივატელი (მორა), სანი, ალტაფინი, რივერა, ბარისონი. მეკარე გეზი მეტად საიმედოდ იცავს კარს, ხოლო ცენტრალურ მცველ მალდინის მიმომხილველები უწოდებენ „საჯარიმო მოედნის ბატონ-პატრონს". ნახევარმცველი ტრაპატონი სპეციალურად ეთამაშება ხოლმე მოწინააღმდეგის ყველაზე უფრო სახიფათო ფორვარდს. ბრაზილიის ნაკრებთან შეხვედრაში მან თამაშიდან გამოთიშა პელე, ხოლო შემდეგ — „ბენფიკას" ბომბარდირი ეუსებიო.

თავდასხმაში დიდი წარმატებით თამაშობენ რივერა, სანი და ალტაფინი. ეს უკანასკნელი მინდვრიდან ისე არ გადის, რომ გოლი არ გაიტანოს.

ევროპის პირველი საკლუბო გუნდი „მილანი" წელს ორ მატჩს გამართავს ბრაზილიის „სანტოსთან" ე. წ. „საკონტინენტთაშორისო თასზე".

ამ ოფიციალური შეხვედრების წინ თვალსაჩინო ინტერესს იწვევს „სანტოსისა" და „მილანის" ამხანაგური მატჩი, რომელიც ამ დღეებში უნდა გაიმართოს მილანის „სანსიროს" სტადიონზე.

### შუა ევროპის თასზე

შუა ევროპის თასის ტრადიციულ საფეხბურთო გათამაშებაში 8 მონაწილე დარჩა. ერთმანეთს ხვდებიან უნგრეთის ჩემპიონი „ვაშაში"-„ბანიკი" (ჩეხოსლოვაკია), „ფკ ტორინო" (იტალია)-„ადმირა-ენერგი" (ავსტრია), „აუსტრია" (ავსტრიის ახლანდელი ჩემპიონი)-„ჟელეზნიჩარი" (იუგოსლავია), უნგრეთის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი მტკ (ბუდაპეშტი)-„ფკ ბოლონია" (იტალია).

მიაჩნიათ, რომ ბრძოლა შუა ევროპის (მოტროპის) თასისათვის ძირითადად უნგრეთისა და იტალიის ძლიერ კლუბებს შორის უნდა გაიმართოს.

### პირველ ლიგაში

რომ „სტოკ-სიტი" პირველ ლიგაში ბრუნდებოდა, ეს ნათელი გახდა ჯერ კიდევ ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის დამთავრებამდე რამდენიმე ტურით ადრე. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ეს უპირველეს ყოვლისა „ბებერი" ს. მეტიუზის დამსახურებაა. ამგვარად, 2 წლის „შესვენების" შემდეგ 48 წლის „ფინტების მეფე" კვლავ პირველ ლიგაში ითამაშებს.

გამოურკვეველი იყო მეორე გამარჯვებულის საკითხი. ფინიშზე საგრძნობლად გაუარესდა „ჩელსის" მდგომარეობა, მიუხედავად იმისა, რომ გუნდმა „ვესტ ბრომვიჩ ალბიონისაგან" შეიძინა ცნობილი სნაიპერი დ. კევანი. ბოლო ტურში „ჩელსი" თავის მინდორზე ღებულობდა „პორტსმუტს" და მეორე ადგილზე გამოდიოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მატჩს მოიგებდა ანგარიშით 7:0. ეს სასწაული მოხდა. გუნდმა სწორედ ასეთი ანგარიშით შეძლო „პორტსმუტის" დამარცხება და გადავიდა პირველ ლიგაში.

## ჩოგბურთელები გაემგზავრნენ ინგლისში

საბჭოთა კავშირის ჩოგბურთელთა ნაკრები უკვე გაემგზავრა ინგლისში. 13-15 ივნისს პატარა ქალაქ ისტბორნში საბჭოთა გუნდი ჩაატარებს მეოთხე ფინალურ შეხვედრას დევისის თასზე ინგლისის ნაკრებთან. ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში ცვლილება არ მომხდარა. საბჭოთა ჩოგბურთის ღირსებას დაიცავენ ტალინელი თ. ლეიუსი, კიეველი მ. მოზერი, ბაქოელი ს. ლიხაჩოვი და ამ ოთხეულის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე, თბილისელი მოსწავლე ა. მეტრეველი.

ინგლისელებთან მატჩის შემდეგ ეს ოთხეული მონაწილეობას მიიღებს უიმბლდონის ტურნირში, რომელშიც ითამაშებს აგრეთვე საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მოსკოველი ა. დმიტრიევა.

რედაქტორი ო. უბულავა.

## დღეს თბილისში

საქართველოს პირველობა ფეხბურთში, სკა-ს სტადიონი, „გვირაბმშენი" (თბილისი)-„მერცხალი" (მახარაძე), დასაწყისი 12 ს. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი-„მეშახტე" (ტყიბული), დასაწყისი 14 ს. 30 წ.

26 კომისრის სახ. სტადიონი, „ისანი" (თბილისი)-„კახეთი" (გურჯაანი) დასაწყისი 17 ს.

ЛЕЛО
ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05966